

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზის“ ანგარიში

შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“ დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური კანვითარების სამინისტროს 17.01.2007 წლის N1-1/66 ბრძანების საფუძველზე, სახელმწიფოს 100%-ანი წილით.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია მარაბდა-კარწახის რკინიგზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, ახალქალაქიდან თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე რკინიგზის მონაკვეთისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა.

პროექტის რეალიზაციის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კრედიტი, რომელიც გათვალისწინებულია „სარკინიგზო ხაზი ბაქო-თბილისი-ყარსის მარაბდა-თურქეთის საზღვრამდე უზნის დაფინანსების პირობების შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტროს, ღია ტიპის სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკს“, სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველოს“ და შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზას“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებით.

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, კრედიტორს წარმოადგენს აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტრო, ხოლო მსესხებელს - შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“.

საკრედიტო ხელშეკრულების ჯამური თანხა შეადგენს 775 მლნ. აშშ დოლარს, რომელიც იყოფა A და B ტრანშებად. A ტრანშის ოდენობაა 200 მლნ. აშშ დოლარი, რომელიც სრულად იქნა ათვისებული 2011 წლის ბოლოსთვის, ხოლო B ტრანშის ოდენობაა 575 მლნ. აშშ დოლარი.

მშენებლობა რეალურად დაიწყო 2009 წელს. მშენებლობას აწარმოებს შპს „მარაბდა-კარწახის რკინიგზა“, რომელსაც ჰყავს ორი ძირითადი გენერალური კონტრაქტორი: მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო მონაკვეთზე (ახალქალაქის სადგურის ჩათვლით) - დსს „აზერბაიჯანის რკინიგზა“, ხოლო ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე (გვირაბის ჩათვლით) - შპს „აზერინშაატსერვისი“.

2017 წლის დასაწყისისათვის სულ გამოთხოვილი იყო კრედიტი 630.2 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც პროექტის საჭიროებისათვის უკვე გადახდილია 629.05 მლნ. აშშ დოლარი, მათ შორის ავანსი - 290 მლნ. აშშ დოლარი. ამასთან, მშენებლობისათვის გაფორმებულია სულ 741 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების კონტრაქტები. 2017 წ. 1-ლი აგვისტოს მდგომარეობით 775 მლნ. აშშ დოლარი საკრედიტო ხაზიდან ასათვისებელი დარჩა 143,2 მლნ. აშშ დოლარი (18.48 %).

აღსანიშნავია, რომ პროექტი ორ ეტაპად არის დაყოფილი. პირველ ეტაპზე ტვირთების გამტარუნარიანობა იქნება წელიწადში 5 მლნ. ტონა, ხოლო მეორე ეტაპზე, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი 15 მლნ. ტონამდე შესაძლებელია რომ გაიზარდოს. მთლიანობაში, ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის ქართული მონაკვეთი მოიცავს 22 ხიდს, 13 სადგურს, 24 გზაგამტარს, 4 თოვლდამცავ გალერეას და საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელ სასაზღვრო სარკინიგზო გვირაბს, რომლის საერთო სიგრძეც 4400 მეტრია - აქედან 1840 მ. საქართველოს მხარეს.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია უშუალოდ არ ახორციელებს მშენებლობის პროცესს, მას, შესაბამისად, საოპერაციო შემოსავლები არ გააჩნია და ზარალიანი საწარმოა. ამასთან, ის ფაქტი, რომ კრედიტის აღება ხდება აშშ დოლარში, ლარის კურსის გაუფასურების ფაქტორი მნიშვნელოვნად ზრდის კომპანიის ზარალის ჯამურ ოდენობას. მაგალითად, თუ 2015 წელს კომპანიის მიერ მიღებულ იქნა სულ 332 მლნ. ლარის ზარალი, აქედან 311 მლნ. ლარი მიღებული იყო კურსთაშორის სხვაობიდან. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული აკუმულირებული ზარალის ოდენობა 702 მლნ. ლარს აღემატება.

რაც შეეხება 2016 წლის შედეგებს, აღნიშნული საანგარიშო წელი კომპანიამ დაამთავრა 205 მლნ. ლარის ზარალით, რაც ძირითადად განპირობებულია სასესხო ვალდებულების გადაფასებით მიღებული ზარალიდან გამომდინარე, ვინაიდან 2016 წელს კურსთაშორის სხვაობიდან, პირიქით, თითქმის 35 მლნ. ლარის წმინდა მოგება (კურსთაშორის სხვაობიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი).

2016 წელს კომპანიამ ვერ შეძლო დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტების სრულად რეალიზაცია. კერძოდ, 2016 წლისათვის კომპანიას კაპიტალური ხარჯები დამტკიცებული ჰქონდა 94,1 აშშ დოლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ კი 47,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ანუ მთლიანობაში დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას 46,4 მლნ. აშშ დოლარი დააკლდა. ეს თანხა კი ძირითადად მოდის ისეთ პროექტებზე, როგორებიცაა ახალქალაქი-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა (გეგმის შესრულებას დააკლდა 8 555 359 აშშ დოლარი), მარაბდა-ახალქალაქის სარკინიგზო მონაკვეთის მესამე ეტაპის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა (დააკლდა 7 340 092 აშშ დოლარი) და ახალქალაქის სადგურის მშენებლობა ვაგონებისათვის გოგორწყვილების გამოცვლისა და ტვირთის გადატვირთვისათვის პუნქტის მოწყობით (დააკლდა 18 078 507 აშშ დოლარი).

აღსანიშნავია, რომ მარაბდა-კარწახის რკინიგზის მშენებლობის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს მიერ, როგორც მისი შემადგენელი ნაწილისა.

2017 წლისათვის, მარაბდა-კარწახის რკინიგზის მშენებლობის ბიუჯეტი დამტკიცებულ იქნა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს 2017 წლის 9 აგვისტოს რიგით 26-ე სხდომაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, კომპანიის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 2017 წელს საწარმოს ფულადი სახსრების საერთო ხარჯი განსაზღვრული აქვს 42 382 567 აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით ლარებში) ოდენობით, საიდანაც 1 644 270 აშშ დოლარი განკუთვნილია საერთო-ადმინისტრაციული ხარჯების, ხოლო 40 738 297 აშშ დოლარი - კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნული ხარჯების დაფინანსების წყაროებს წარმოადგენს შემოსავლები გრძელვადიანი კრედიტებიდან 41 248 047 აშშ დოლარის და 2017 წლის 1-ლი იანვრისათვის კომპანიის ბალანსზე რიცხული ფულადი სახსრების ნაშთი - 1 134 520 აშშ დოლარის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის 2017 წლის ბიზნეს-გეგმის (ბიუჯეტის) პროექტის თანახმად, 2016 წლის ფაქტიურ მაჩვენებლებთან შედარებით, კაპიტალური ხარჯების მოცულობა თითქმის 15%-ით არის შემცირებული, რაც განპირობებულია იმით, რომ მშენებლობა დასრულების ეტაპზეა.

2017 წლის კაპიტალური ხარჯების გეგმის თანახმად, 38 744 746 აშშ დოლარი (ანუ მთლიანი კაპიტალური ხარჯის 95,11%) გათვალისწინებულია უშუალოდ მშენებლობაზე, 100 000 აშშ დოლარი (0,25%) - პროექტირებაზე, 967 910 აშშ დოლარი (2,38%) - ტექნიკურ და საავტორო ზედამხედველობაზე, 200 000 აშშ დოლარი (0,49%) - პროექტების ექსპერტიზაზე, 86 445 აშშ დოლარი (0,21%) - დამოუკიდებელი ექსპერტების მომსახურებაზე, 56 649 აშშ დოლარი (0,14%) - მშენებლობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებაზე და 582 548 აშშ დოლარი (1,43%) სხვადასხვა ხარჯებზე. 2017 წლის მნიშვნელოვან სამშენებლო პროექტებს წარმოადგენს ახალქალაქის სადგურის მშენებლობა, სამგზავრო ვაგონებისათვის ლიანდის შეცვლის მოწყობილობის, სატვირთო ვაგონებისათვის გოგორწყვილების გამოცვლისა და ტვირთების გადატვირთვის პუნქტის მოწყობით (გათვალისწინებულია 15 570 000 აშშ დოლარი), ახალქალაქი-კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა (10 082 609 აშშ დოლარი) და მარაბდა-ახალქალაქის წალკა-ახალქალაქის მონაკვეთის მესამე ეტაპის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია და მშენებლობა (8 263 410 აშშ დოლარი).